ფოტო © თორნიკე ტურაბელიძე

საქართველოს პროგრამის სტრატეგია

2021 – 2025

www.peopleinneed.cz
www.PIN.ge

Alliance 2015
towards the eradication of poverty

1. სტრატეგიის მიმოხილვა

ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდის“ მისიაა მოსახლეობასთან და თემთან მჭიდრო თანამშრომლობით სიღარიბის, უსამართლობისა და უთანასწორობის აღმოფხვრა.

ბოლო წლებში საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მრავალი ოჯახისთვის სიღარიბე კვლავ დაუძლეველ გამოწვევად რჩება. ღირსეულ დასაქმებაზე, ძირითად სერვისებსა და ინფორმაციაზე წვდომა, ისევე, როგორც უფლებებით სარგებლობა არ არის თანაბრად უზრუნველყოფილი საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის. 2021-2025 წლების პროგრამის სტრატეგია მიზნად ისახავს პანდემიის შემდგომი ინკლუზიური რეაბილიტაციის მხარდაჭერას, ისევე, როგორც მოსალოდნელი კრიზისის მიმართ მდგრადობის გაზრდას.

ჩვენი მიდგომა ფართოვდება, იმისთვის რომ მოვიცვათ უკიდურესად მოწყვლადი, მარგინალური, რთულად მისაწვდომი და ხშირად, პროცესებს მიღმა დარჩენილი ჯგუფები, რომლებიც უმეტესწილად დისკრიმინირებული და უხილავად რჩებიან ენის, სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ფიზიკური ან გონებრივი შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, ასაკის ან სხვა ნიშნის გამო.

იმისთვის, რომ სტრატეგია შედეგად ვაქციოთ, „ფიფლ ინ ნიდ“-ი წვლილს შეიტანს ცოდნის და ანგარიშვალდებულების გამყარების კუთხით, გახდის ორგანიზაციის პროგრამებს უფრო მეტად ინკლუზიურს, გაზრდის ეფექტურობას და კერძო სექტორთან თუ აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობას მოიძიებს.



მისია

მიგვაჩნია, რომ ადამიანები არ უნდა განიცდიდნენ სიღარიბეს, უსამართლობასა და უთანასწორობას. ვფიქრობთ, რომ გაჭირვებაში მყოფ პირებს შეუძლიათ აქტიური როლი შეასრულონ გლობალური განვითარების ინკლუზიურობისა და მდგრადობის გაზრდაში. ჩვენი მისიაა მხარი დავუჭიროთ მათ ძალისხმევას და შევქმნათ ცვლილებების გასატარებლად ხელსაყრელი გარემო

ხედვა

„ფიფლ ინ ნიდ“-ი აღიარებულია როგორც ორგანიზაცია, რომელიც ადვოკატირებას უწევს და ხელს უწყობს ადგილობრივ განვითარებას, ამავდროულად კი უზრუნველყოფს განვითარების შედეგად მიღებულ სარგებელზე მარგინალიზებული ჯგუფების წდომას. ჩვენ ვცდილობთ, მივაღწიოთ გრძელვადიან შედეგებს ახალგაზრდების ჩართვით, სისტემური ცვლილებების განხორციელებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული, გარემოსდაცვით პრაქტიკასა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ინტერვენციით.



პრიორიტეტები

- ადგილობრივი განვითარება
- ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და კარგი მმართველობა
- სოციალური დაცვა და ინკლუზია

გავლენა

- მოსახლეობისა და ინსტიტუციების მდგრადობის გაზრდა სირთულისა და სტრესის მიმართ
- სოფლები და მაღალმთიანი დასახლებები - სიცოცხლისუნარიანი, საცხოვრებლად მიმზიდველი ადგილები
- ღირსეული დასაქმებისა და სოციალური დაცვის შედეგად ოჯახების მიერ სიღარიბის დაძლევა
- თემებისა და კონკრეტული პირების მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე
- გარემოსდაცვითი აქტივების მდგრადი მართვა
- სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მიერ თემების ინტერესების ადვოკატირება და პასუხიმგებელი პირების ანგარიშვალდებულების დაყენება
- მარგინალიზებული ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაცია

სექტორული პრიორიტეტები	შედეგები	ფიფლ ინ ნიდ-ის წვლილი
ადგილობრივი განვითარება	• სოფლები და მაღალმთიანი რაიონები - სიცოცხლისუნარიანი, საცხოვრებლად მიმზიდველი ადგილები • ღირსეული დასაქმების შედეგად ოჯახები თავს აღწევენ სიღარიბეს • იზრდება მოსახლეობისა და ინსტიტუციების მდგრადობა კრიზისების მიმართ • გარემოსდაცვითი აქტივების მდგრადი მართვა	• დასაქმებისა და მეწარმეობის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა • კლიმატგონივრული, გარემოსთვის ნაკლებად საზიანო სასოფლო-სამეურნეო და ტურისტული საწარმოების მხარდაჭერა • მონაწილეობითი დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების მიზნით მრავალსექტორული პლატფორმების ჩამოყალიბება/გაძლიერება • სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროს გაუმჯობესების მიზნით, პროდუქტებსა და ძირითად სერვისებზე წვდომის ზრდა. • გარემოსთვის უსაფრთხო, ხელმისაწვდომი ალტერნატივის გამოყენებით ენერგოუსაფრთხოების ზრდა
სამოქალაქო საზოგადოება და კარგი მმართველობა	• სანდო სამოქალაქო საზოგადოების აქტორები წარმოადგენენ და ადვოკატირებენ თავიანთი მხარდამჭერების ინტერესებს და პასუხისმგებელ ჯგუფებს ანგარიშვალდებულებას აკისრებენ • სხვადასხვა თემი და ინდივიდები მონაწილეობენ გადაწყვეტილებებში, რომელიც მათ ცხოვრებაზე ზეგავლებას ახდენს.	• საზოგადოების მრავალმხრივი და მდგრადი მხარდაჭერა • მოსახლეობასა და ანგარიშვალდებულ მხარეებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა • წვდომა ინფორმაციაზე, როგორიცაა რჩევები სამართლებრივი საკითხების, შესაძლებლობების, და ასევე, მედიაწიგნიერების უნარის შესახებ
სოციალური დაცვა და ინკლუზია	• მარგინალიზებულ ჯგუფებს აქვთ საზოგადოებაში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობა • ოჯახები თავს აღწევენ უკიდურეს სიღარიბეს	• პარტნიორობა სერვისების მიმღებების საჭიროებებზე მიმართული ადვოკატირების და სამოქმედო ჯგუფებთან • უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ფინანსურ სერვისებზე წვდომის მხარდაჭერა • სოციალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო/კერძო/ სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა • უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და თანაბარი ანაზღაურების ადვოკატირება • უწყვეტ განათლებაზე, მოთხოვნად უნარებსა და ფინანსურ წიგნიერებაზე წვდომის გაზრდა
ჩვენი მიდგომა	„ფიფლ ინ ნიდს“–ს სურს საკუთარი წვლილი შეიტანოს გენდერული უთანასწორობისა და სოციალური გარიყვის წინააღმდეგ მიმართულ გლობალურ ძალისხმევაში და, შედეგად, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას, პოზიტიური პროცესების განხორციელებას,	რომელიც ემსახურება თანაბარი, ინკლუზიური და მშვიდობიანი საზოგადოების ფორმირებას. თითოეული ჩვენი პროგრამა, ისევე, როგორც მოცემული სტრატეგია ეყრდნობა ანალიზს, თუ რა იქნება მისი წვლილი გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში.

2. ხედვა და პრიორიტეტები

წინამდებარე სტარტეგია აღწერს საქართველოში „ფიფლ ინ ნიდ“-ის პრიორიტეტებსა და მიზნებს 2021-2025 წლებისთვის. დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობდა 2020 წლის თებერვლიდან აგვისტომდე, მსოფლიოში კოვიდ-19 პანდემიის მძვინვარების ფონზე. სტრატეგია ემყარება ქვეყანაში მყოფი თანამშრომლების და პარტნიორების, ასევე, „ფიფლ ინ ნიდ“-ის სათაო ოფისის გამოცდილებას, სიღრმისეულ კვლევასა და კონსულტაციებს პოლიტიკის შემქმნელებთან. იმ ფონზე, როცა მომავალი ჯერ კიდევ ბუნდოვანია, სტრატეგია დაგვეხმარება ჩვენი საქმიანობის, ადგილობრივი თემებისა და ინსტიტუციების საჭიროების უკეთეს მსახურში.

„ფიფლ ინ ნიდ“ მსოფლიოში

ჩვენ ხელს ვუწყობთ სიღარიბის დაძლევასა და განათლებაზე წვდომის ზრდას; ჩვენ მხარს ვუჭერთ ადგილობრივ განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას. ჩვენ ვეხმარებით ადამიანებს საკუთარი თავისუფლების რეალიზებასა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ უზრუნველვყოფთ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპის დაცვას და მხარს ვუჭერთ გარემოსდაცვითი მიდგომების დანერგვას. ამავდროულად, მუდმივი ცვლილებების ფონზე, ჩვენ კონსტრუქციული წვლილი შეგვაქვს ჩეხეთის რესპუბლიკისა და ევროპის განვითარებაში, ვატარებთ რა ადამიანური სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის იდეას უნივერსალურ დონეზე.

ფიფლ ინ ნიდ - საქართველო - ხედვა

ჩვენი ხედვით, „ფიფლ ინ ნიდ“-ი აღიარებულია როგორც ორგანიზაცია, რომელიც ადვოკატირებას უწევს და ხელს უწყობს ადგილობრივ განვითარებას, ამავდროულად კი უზრუნველყოფს განვითარების შედეგად მიღებულ სარგებელზე მარგინალიზებული ჯგუფების წვდომას.

ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ გრძელვადიან შედეგებს ახალგაზრდების ჩართვის, სისტემური ცვლილებების დანერგვის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, გარემოსდაცვით პრინციპებსა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ინტერვენციების განხორციელების გზით.

მომდევნო თავებში აღწერილი ამბიციური მიზნების მისაღწევად, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ შემდეგი პრინციპებით:

1 „ფიფლ ინ ნიდ“-ი აცნობიერებს, რომ გრძელვადიანი ცვლილებები ემყარება სიცოცხლიუნარიან სისტემებს და ინტერვენციისთვის ყველაზე ეფექტურ მიდგომას არჩევს.

2 “ფიფლ ინ ნიდ“-ი მიიჩნევს, რომ ადგილობრივ მდგრად განვითარებას სჭირდება სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორების აქტიური ჩართულობა. “ფიფლ ინ ნიდ“-ი შეეცდება, გააძლიეროს დაინტერესებული მხარეები და გაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები თითოეულ სექტორში.

3 “ფიფლ ინ ნიდ“-ი ხელს შეუწყობს პლატფორმების ჩამოყალიბებასა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, რათა თემის წარმომადგენლებმა თავად შეძლონ ადგილობრივი განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა და ადვოკატირება.

4 “ფიფლ ინ ნიდ“-ი ერთმანეთთან დააკავშირებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესა და სექტორს ინტეგრირებული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

5 “ფიფლ ინ ნიდ“-ი -ი შეასრულებს გავლენიანი მოთამაშის როლს, მოახდენს რა ეროვნულ დონეზე პოლიტიკის ცვლილებების ადვოკატირებასა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოებული კამპანიების მხარდაჭერას.

6 “ფიფლ ინ ნიდ“-ი შეიმუშავებს ინტერვენციას, რომელიც იქნება ინკლუზიური, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი, საბოლოო ჯამში კი - ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებული.

3. ჩვენი საქმიანობა საქართველოში

ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდმა“ საქართველოში საქმიანობა 2005 წელს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა თემსა და პროგრამაზე მუშაობის წყალობით, სხვადასხვა სექტორში სისტემური ცვლილებების მხარდაჭერისა და შემდგომი დანერგვის მიზნით, ჩვენ, ასევე, ვთანამშრომლობთ ინსტიტუციებთან. “ფიფლ ინ ნიდ“-მა ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართვას განათლებისა და დასაქმების სისტემაში, ლობირებდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პაკეტის გაუმჯობესებას, წარმართა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების კამპანია უსაფრთხო კრედიტების ხელმისაწვდომობისა და შრომითი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. 2020 წლისთვის, ჩვენი თანამშრომლები წარმოდგენილი არიან: ჩინთში, გორში, ქუთაისში, თბილისში, წყალტუბოსა და ზუგდიდში. ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული პროექტებისა და პარტნიორების მეშვეობით, ჩვენ ვსაქმიანობთ საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის, რთულად მისასვლელ და მაღალმთიან რაიონებში, სადაც ნაკლებ ხელმისაწვდომია სხვადასხვა სერვისი.

“ფიფლ ინ ნიდ“-ის საქმიანობა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ადგილობრივი განვითარება, სამოქალაქო საზოგადოება და კარგი მმართველობა, სოციალური დაცვა და ინკლუზია. სამივე მიმართულება ურთიერთდაკავშირებულია და წარმოადგენს მდგრადი საზოგადოების განვითარების საფუძველს. სწორედ ამიტომ, თითოეული მათგანი “ფიფლ ინ ნიდ“-ის პროგრამის განუყოფელი ნაწილია.



ადგილობრივი განვითარება

“ფიფლ ინ ნიდ“-ი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ის საშუალებას აძლევს ადგილობრივ თემს შეაფასოს მისი შესაძლებლობა და საჭიროება, დაამყაროს პარტნიორობა, დასახოს მიზნები და მოიძიოს რესურსები მათ მისაღწევად.

ბოლო პერიოდში, “ფიფლ ინ ნიდ“-მა საქართველოში ადგილობრივი განვითარების რამდენიმე ჯგუფი (Local Action Group, LAG) შექმნა: ყაზბეგში, წყალტუბოსა და არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე. ეს უკანასკნელი საქართველოში პირველი ადგილობრივი განვითარების ჯგუფია, შექმნილი ევროკავშირის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (EN-PARD)-ის ფარგლებს მიღმა. იგი პირველი ჯგუფია, სადაც სოფლის განვითარების ევროპული მოდელით (LEADER) გათვალისწინებული მუნიციპალური საზღვრების ნაცვლად, განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოების მიკუთვნებულობაა. პროექტების დასრულების შემდეგ, ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლობას აღნიშნულ ჯგუფებთან, ისევე, როგორც საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაციასთან (GALAG), რათა კიდევ უფრო გავზარდოთ ჩვენი წვლილი ადგილობრივ განვითარებაში.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გულისხმობს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასაც. ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, “ფიფლ ინ ნიდ“–მა მხარი დაუჭირა სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მიერ მოსახლეობისთვის საინფორმაციო პლატფორმის როლის შესრულებას; LAG- ების მიერ კონსულტაციების გაწევას საბანკო დავალიანების შესახებ; ონლაინ პორტალებისა და აპლიკაციების შექმნას, რომლებიც მოსახლეობას აწვდიან ინფორმაციას საკითხების ფართო სპექტრზე, მათ შორის, ფიტო-სანიტარულ რეგულაციებზე, მეფუტკრეობაზე, სოფლის მეურნეობის განვითარების სერვისებსა და შრომით უფლებებზე.

ათ წელზე მეტია, რაც “ფიფლ ინ ნიდ“-ი, გლობალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე დისკუსიის წახალისების მიზნით, იყენებს დოკუმენტურ ფილმებზე დაფუძნებულ სწავლების მეთოდოლოგიას (One World In School, OWIS) . საქართველოში OWIS-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით განხორციელდა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მედია წიგნიერების უნარების გაუმჯობესებას. მოცემული მეთოდოლოგია მუდმივად ვითარდება. ამ ეტაპზე იგი ფოკუსირებულია ახალგაზრდულ ინიციატივებზე, იმიტირებულ არჩევნებზე, ასევე, სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

სამოქალაქო საზოგადოება და კარგი მმართველობა

“ფიფლ ინ ნიდ“-ი აცნობიერებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისა და დამოუკიდებელი მედიის როლი დემოკრატიის გაძლიერების პროცესში. “ფიფლ ინ ნიდ“-ი მხარს უჭერს სათემო ინიციატივების ფართო სპექტრს, ახალბედა სამოქალაქო ჯგუფებსა და გამოცდილ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ძალისხმევა მიმართულია სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის გაფართოებასა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდაზე, კრიზისის დროს დახმარების გაწევაზე, პასუხისმგებელი პირების ანგარიშვალდებულების დაკისრებაზე და დამოუკიდებელ ჟურნალისტურ საქმიანობაზე.

“ფიფლ ინ ნიდ“-ს სწამს, რომ საქმიანობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების წარმატებული აქტორები ხელმძღვანელობენ მკაფიოდ განსაზღვრული მისიითა და ღირებულებებით, თანამშრომლობენ და ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი სამიზნე თემის მიმართ, აქტიურად მონაწილეობენ ადვოკატირების კამპანიებსა და პოლიტიკურ დიალოგში, აგრეთვე ორიენტირებულნი არიან რეალური ცვლილებების დანერგვაზე. აღნიშნული აქტორების მხარდაჭერის პროცესში, ჩვენ არ ვგულისხმობთ სტანდარტულ გზას, რომელიც არის სათემო ინიციატივის გრანტის მიმღებ არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბებას. ნაცვლად ამისა, ჩვენ მათ

საშუალებას ვაძლევთ თავად აირჩიონ განვითარების შემდგომი მიმართულება; ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ ტექნიკური და ფინანსური კუთხით და, შედეგად, საშუალებას ვაძლევთ დამოუკიდებლად განაგრძონ ღირებული საქმის კეთება მას შემდეგ, რაც "ფიფლ ინ ნიდ"-ი ამოწურავს საკუთარ როლს ერთობლივი პროგრამების ფარგლებში; ჩვენ აგრეთვე მხარს ვუჭერთ სამოქალაქო საზოგადოების აქტორების, როგორც ადვოკატების როლს და ამგვარად ვუზრუნველვყოფთ მარგინალიზებული ჯგუფების ხმის მიტანას გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე. ჩვენი მიზანია ერთმანეთს დავაკავშიროთ თანამოაზრე აქტორები, რომლებიც მსგავსი შეხედულებების პარალელურად, გამოირჩევიან ორგანიზაციული ფორმის, თემატური და გეოგრაფიული აქცენტის, წევრობის, კულტურისა და ენის მრავალფეროვნებით.

სოციალური ინკლუზია და დაცვა

"ფიფლ ინ ნიდ"-ი ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას სამ ძირითად მიმართულებაზე ფოკუსირების გზით: განათლება, ჯანმრთელობა და ცხოვრების დონე. უფრო და უფრო ხშირად ჩვენი ინტერვენციები ხორციელდება ადგილობრივი პარტნიორების ჩართულობით, რომელთა მდგრადი სერვისების დასანერგად საჭირო უნარ-ჩვევებისა და რესურსებით აღჭურვას "ფიფლ ინ ნიდ"-ი უზრუნველყოფს.
"ფიფლ ინ ნიდ"-ის პროგრამები ითვალისწინებს ქალების, კაცებისა და ახალგაზრდების საარსებო წყაროების ყოვლისმომცველ მხარდაჭერას და მოიცავს შრომითი ბაზრის ანალიზს, მიზნობრივ პროფესიულ განათლებასა და ტრენინგებს, დასაქმების ხელშეწყობასა და მეწარმეობის უნარ-ჩვევების განვითარებას, ინვესტიციებსა და უსაფრთხო კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, საბაზრო სისტემების განვითარებას.

"ფიფლ ინ ნიდ"-ი ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და კერძო სექტორს შორის, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ მდგრადი სოციალური მომსახურების შექმნას და გაწევას სერვისებს მიღმა დარჩენილი სამიზნე ჯგუფებისთვის. ერთობლივი პროექტების დასრულების შემდეგ, ადგილობრივი თვითთმართველობის პროგრამული ბიუჯეტით ხდება ახალი სოციალური სერვისების უზრუნველყოფა და მიწოდება მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ერთობლივი სოციალური პროექტები მდგრადი სოციალური სერვისების სახით აქტიურად აგრძელებენ ხანდაზმულთათვის შინმოვლის, სოფლად ბავშვთა მოვლის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვებისთვის სოციალური და თერაპიული სერვისის მიწოდებას.

დაინტერესებული მხარეები

"ფიფლ ინ ნიდ"–ი თვლის, რომ სწორედ თანამშრომლობა უდევს საფუძვლად ჩვენი საქმიანობის წარმატებასა და მდგრადობას. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ადგილობრივ ხელისუფლებებთან ყველა იმ რეგიონში, სადაც ვმუშაობთ. ადგილობრივი განვითარების ჯგუფების დამსახურებით, სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის პარტნიორობამ ფორმალური სახე მიიღო. ეროვნულ დონეზე "ფიფლ ინ ნიდ"–ი თანამშრომლობს: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, მოცემულ სამინისტროებთან აფილირებულ სხვა უწყებებთან. "ფიფლ ინ ნიდ"-ი მიზნად ისახავს, თანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავების შედეგად, იქცეს საქართველოს მთავარ პარტნიორად განვითარების მიმართულებით. "ფიფლ ინ ნიდ"-ი აქტიურად არის ჩართული მართვის ეროვნულ გუნდში. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს სექტორში მოქმედ სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სტრატეგიული ურთიერთობების აღწერა იხილეთ პარტნიორების შესახებ მომდევნო ნაწილში.
ევროკავშირის, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სლოვაკეთის განვითარების სააგენტოს (SlovakAid), გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და სხვა მნიშვნელოვან დონორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გარეშე ჩვენი საქმიანობა ვერ განხორციელდებოდა. 2021-2025 წლების სტრატეგიის განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად, "ფიფლ ინ ნიდ"-ი გააგრძელებს დონორებთან ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობის ახალი შესაძლებლობების მოძიებას.

ფოტო © რამაზ ჭიჭინაძე

4. პროგრამული პრიორიტეტები 2021 - 2025

2008 წლის კონფლიქტისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა. შთამბეჭდავი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიუხედავად, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტური ინდიკატორი 20% -ზე მაღალი რჩება, მაღალია უთანასწორობის დონეც. ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, ძირითადად, ორიენტირებული იყო სავაჭრო ბარიერების შემცირებაზე; ღირსეული და თანასწორი სამუშაო უფლებების შეკვეცაზე; ფინანსურ და საკრედიტო დაწესებულებებზე კონტროლის გაუქმებაზე; შრომითი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის გარანტიების მოხსნაზე; სახელმწიფო სერვისებისა და აქტივების პრივატიზაციაზე. მოგვიანებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო კანონმდებლობის გაუმჯობესებას ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვის კუთხით, ევროპულ სტანდარტებთან სრული საკანონმდებლო შესაბამისობის მიღწევას ჯერ კიდევ მრავალი წელი სჭირდება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შესახებ შეთანხმება (DCFTA) საშუალებას აძლევს ქართულ კომპანიებს წვდომა ჰქონდეთ ევროკავშირის მრავალრიცხოვან ბაზარზე, თუმცა ადგილობრივი მწარმოებლებისთვის რთულია ექსპორტთან დაკავშირებული მკაცრი რეგულაციების დაცვა.

ფოტო © პეტრ სტეფან

2019 წელს, ოფიციალური საშუალო ხელფასი 398 აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა ოჯახების უმეტესობის შემთხვევაში, ყოველთვიური შემოსავალი ამ თანხის ნახევარზე ნაკლები იყო[1]. მონაცემებში არ არის გათვალისწინებული არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის დიდი ნაწილი, არც მცირე მეწარმეები და ფერმერული მეურნეობები. მაშინ როცა სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობითაა დაკავებული, ამრიგად მნიშვნელოვანი სექტორის წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში მხოლოდ 7%-ს შეადგენს. ფერმერი ქალები სასიცოცხლო როლს ასრულებენ სოფლად ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა მათი წვლილი ხშირად არ არის ჯეროვნად დაფასებული. ქალებს იშვიათად აქვთ სამართლებრივი უფლებები იმ მიწაზე, რომელსაც ისინი იყენებენ საარსებო წყაროსთვის, ეს კი უარყოფითად აისახება ფინანსურ უსაფრთხოებაზე, ისევე, როგორც საქმიანობაში ინვესტირების მიზნით საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021 - 2027 წლების სტრატეგიის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მდგრად სატყეო მეურნეობას, თემზე დაფუძნებულ (ქვემოდან ზემოთ მიმართულ) განვითარებასა და უფრო ძლიერ საინფორმაციო სერვისებს. ამასთან, ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობა მცირე მეწარმეებისთვის შემოსავლის ღირებულ წყაროდ იქცეს.

ტურიზმის როლი სულ უფრო იზრდება ქვეყნის ეკონომიკაში. მაშინ როცა საერთაშორისო ვიზიტორების წლიურმა რაოდენობამ 2015 წელს, წინა პროგრამის შემუშავების პერიოდში, 5.2 მილიონი შეადგინა, 2019 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 9 მილიონს გადააჭარბა[2]. მართალია, ჯერ კიდევ ადრეა შევაფასოთ ტურიზმის სექტორზე 2020 წლის პანდემიის გრძელვადიანი გავლენა, მყისიერი შედეგი გამოიხატა სამუშაო ადგილების დაკარგვით, ბიზნესების დახურვითა და სესხის დაფარვის უუნარობით. კრიზისის მიმართ მეტად მდგრადი აღმოჩნდა ციფრული სექტორი, ისევე, როგორც „აუთსორსინგის“ მიმართულება. ციფრული კულტურის ზრდის ფონზე, კვალიფიციური სამუშაო ძალით, სწრაფი, ხელმისაწვდომი ინტერნეტითა და პერსონალის შედარებით დაბალი ხარჯებით, საქართველო საერთაშორისო კომპანიებისთვის მიმზიდველი ადგილი აღმოჩნდა.

საქართველო ფლობს მნიშვნელოვან ბუნებრივ აქტივებს, მათ შორის მინერალებს, სატყეო მეურნეობებსა და ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს. ინტერესთა შეუთავსებლობას, გარკვეულ შემთხვევებში კი, კონფლიქტსაც აქვს ადგილი ერთი მხრივ, ადგილობრივ თემებს, რომლებიც შეშას იყენებენ საწვავ მასალად ან დგანან განსახლების რისკის წინაშე და, მეორე მხრივ, ხელისუფლებას შორის, რომლის მიზანია ამ ღირებული აქტივების მდგრადი მართვა. როგორც ეკოლოგიური, ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველო ცდილობს გაზარდოს განახლებადი ენერგიის წარმოება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სწრაფი დეინდუსტრიალიზაციის შედეგად, ქვეყანაში დაბალია სათბური გაზების ემისია. ამასთან, იგი ძალზე მოწყვლადია კლიმატური ცვლილებების მიმართ, ქვეყნის

1 GEOSTAT.ge

2 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები: https://gnta.ge/

აღმოსავლეთში მოსალოდნელია წყლის დეფიციტის წარმოქმნა, დასავლეთში კი - უხვი ნალექი და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი საფრთხეები. შემოსავლებისა და ენერგო მოხმარების ზრდის პარალელურად, აუცილებელია შინამეურნეობისთვის ხელმისაწვდომი, მდგრადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივების შეთავაზება. სატყეო კოდექსში ბოლოდროინდელი ცვლილებები ხელს შეუწყობს შეშის უკანონო ჭრის აღკვეთას, თუმცა, დამატებით გამოწვევებს შეუქმნის ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მყოფ მოსახლეობას.
შემოსავლის, ჯანდაცვის, უწყვეტი განათლებისა და კულტურული აქტივობების ხელმისაწვდომობის კუთხით, საგრძნობი უთანასწორობაა ურბანულ და პერიფერიის დასახლებებს შორის. ეს კი იწვევს მიგრაციასა და მდგომარეობის შემდგომ დამძიმებას, ვინაიდან მოშორებულ ადგილებში ნაკლებად ხდება ინვესტიციის განხორციელება. რთულად მისაწვდომ, მაღალმთიან რაიონებში, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განათლებისა და მედიცინის კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა. თბილისში, ქვეყნის დედაქალაქში, მთლიანი მოსახლეობის თითქმის 40% ცხოვრობს. როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ცენტრში, სწორედ აქ ხდება სოფლებიდან მოსახლეობის დიდი ნაწილის მიგრაცია. სოფლიდან ჩასული და უცხოელი მიგრანტები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ექსპლუატაციის მიმართ, ხშირია სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევები, ასევე მძიმეა სამუშაო პირობები.
ბოლო წლებში გატარებული საარჩევნო რეფორმის პარალელურად, პოზიტიური ცვლილებები იქნა შეტანილი შრომის კოდექსში, სურსათის უვნებლობისა და გარემოსდაცვით სტანდარტებში. როგორც მოსალოდნელია, პარლამენტის პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, ასევე გენდერული კვოტების შემოღება ხელს შეუწყობს შეალედურ პერიოდში უფრო პლურალისტული და წარმომადგენლობითი მთავრობის ფორმირებას. ამავდროულად, ქალები, ახალგაზრდები და ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. 2020 - 2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია ითვალისწინებს სახელმწიფო ფინანსური რესურსების ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადაცემასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის დელეგირებას, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივი განვითარების ჯგუფებს გავლენა მოახდინონ რესურსების განაწილებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაზე.
სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, პოლიტიკური დისკურსი სულ უფრო პოლარიზებული ხდება, უმცირესობათა ჯგუფები კი სულ უფრო მეტად ხდებიან სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციული კამპანიების სამიზნე. რეგიონის მასშტაბით, საქართველო გამოირჩევა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მძლავრი საკანონმდებლო ბაზით, თუმცა მისი განხორციელება, ისევე როგორც საჯარო და მედია დისკურსის წარმართვა, ჯერ კიდევ გვიანდება.
ზემოაღნიშნული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოში სულ უფრო იზრდება მოქალაქეობრივი აქტივიზმი და ცვლილებების ადვოკატირება. როგორც კვლევებმა აჩვენა, დემოკრატიის გაძლიერების პროცესში მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, დაბალია ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც სექტორის მიმართ. საერთაშორისო დახმარების ფარგლებში, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სამოქალაქო საზოგადოების აქტორების ფორმისა და ფუნქციების მრავალფეროვნება, ასევე მათი ანგარიშვალდებულება სამიზნე თემების მიმართ.

საქართველო კვლავ რჩება ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მთავარ პარტნიორად. ფინანსური დახმარება სულ უფრო მეტად ხორციელდება პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების სახით. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სტრატეგიის პრიორიტეტები 2020 წლის შემდეგ მიზნად ისახავს მდგრადობის გაძლიერებას იმ ტიპის პარტნიორობით, რომელიც ქმნის, იცავს, ზრუნავს გარემოზე, აკავშირებს და აძლიერებს. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს სტრატეგია 2020–2025 წლებისთვის ყურადღებას ამახვილებს მდგრადობის გაძლიერებაზე, განსაკუთრებით, გარე მავნე გავლენის მიმართ, მოსახლეობაზე ორიენტირებული მმართველობის ჩამოყალიბებასა და დასაქმების ინკლუზიური შესაძლებლობების შექმნაზე ტრადიციულად დაბალანაზღაურებად სექტორებში, როგორიცაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა.
ახალმა კორონავირუსმა, რომლის საქართველოში გამოჩენა დაემთხვა ამ სტრატეგიის შემუშავების პროცესს, კიდევ უფრო მეტად მოჰფინა ნათელი ქვეყანაში არსებულ უთანასწორობას. როგორც მოსალოდნელია, ეპიდემიის გავლენა რამდენიმე

ფოტო © ENPARD Communication Unit

წელს გასტანს. მოცემული დოკუმენტის შემუშავების დროისთვის, საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოებრივი ჯანდაცვის, განათლების ხელმისაწვდომობისა და შემოსავლის შენარჩუნების კუთხით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმედ დაზარალდნენ სოფლად მცხოვრები ღარიბი ოჯახები, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფები, ქალები და ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარ და ინტერსექსუალი (ლგბტქი) თემი. “ფიფლ ინ ნიდ“-მა დაუყოვნებლივ მოახდინა კრიზისზე რეაგირება, დახმარება გაუწია მოწყვლად პირებსა და დაზარალებულ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს, გადასცა გრანტები სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს მარგინალური ჯგუფების მხარდასაჭერად. “ფიფლ ინ ნიდ“-ი მომავალშიც გააგრძელებს აღნიშნული ჯგუფების დახმარებასა და მათი ხმის გაჟღერებას ინკლუზიური რეაბილიტაციის პროცესში.

სამომავლო მიმართულებები

ორგანიზაციის მანდატის შესაბამისად, 2021 - 2025 წლებში “ფიფლ ინ ნიდ“-ის საქმიანობა მიმართული იქნება ქვემოთ განსაზღვრულ პრიორიტეტულ სექტორებზე. პირდაპირი ინტერვენციების ნაცვლად, ჩვენ უზრუნველვყოფთ თითოეული მიმართულებით მხარდაჭერას, თანამშრომლობასა და სისტემების გაძლიერებას.

ადგილობრივი განვითარება

“ფიფლ ინ ნიდ“-ი მიიჩნევს, რომ სწორედ ადგილობრივ თემებს ესმით ყველაზე უკეთ, თუ რა არის მათი საჭიროება, რომ მდგრად განვითარებას საფუძვლად უდევს ადგილობრივი თემების ცოდნა და პოტენციალი. “ფიფლ ინ ნიდ“-ი დაეხმარება იმ საწარმოებს, რომლებიც ქმნიან ღირებულ სამუშაო ადგილებს და ამავდროულად, ითვალისწინებენ გარემოსდაცვით საკითხებს. ვაცნობიერებთ, რა სოფლის ეკონომიკაში სურსათის უვნებლობის როლსა და მულტიპლიკაციის ეფექტს, ჩვენ მხარს ვუჭერთ ფართო საბაზრო სისტემებში ინტეგრაციას, კერძოდ კი, ევროკავშირთან და აშშ-სთან ტურიზმისა და სავაჭრო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესაძლებლობების სრულად რეალიზებას.
მდგრადი განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის ეფექტური მართვა. “ფიფლ ინ ნიდ“-ი სიღრმისეულად შეისწავლის ურთიერთკავშირს ენერგეტიკულ სიღარიბესა და კლიმატურ ცვლილებებს შორის, რათა დაეხმაროს თემებს მიმდინარე საჭიროებების გადაჭრაში, ამავდროულად კი უზრუნველყოს კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული შედეგების შერბილება და მათთან ადაპტაცია. ენერგოწყაროების ცვლილების პარალელურად, ასევე უნდა გაიზარდოს შინამეურნეობებისა და ბიზნესების ენერეგოეფექტურობა.

ჩვენი პროგრამები ხელს შეუწყობს შემდეგი მიზნების მიღწევას:

- სოფლები და მაღალმთიანი რაიონები - სიცოცხლისუნარიანი, საცხოვრებლად მიმზიდველი ადგილებია
- ღირსეული დასაქმების შედეგად, ოჯახები თავს აღწევენ სიღარიბეს
- იზრდება მოსახლეობისა და ინსტიტუციების მდგრადობა კრიზისების მიმართ
- გარემოსდაცვითი აქტივების მდგრადი მართვა

Photo © Ramaz Chichinadze

სტრატეგიის პერიოდში დაგეგმილი აქტივობები

- დასაქმებისა და მეწარმეობის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა
- კლიმატგონივრული, გარემოსთვის ნაკლებად საზიანო სასოფლო-სამეურნეო და ტურისტული საწარმოების მხარდაჭერა
- მონაწილეობითი დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, მრავალსექტორული პლატფორმების, მათ შორის ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩამოყალიბება/გაძლიერება
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროს გაუმჯობესების მიზნით, პროდუქტებსა და ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

სამოქალაქო საზოგადოება და კარგი მმართველობა

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ანგარიშვალდებული მმართველობა მოსახლეობაზე ორიენტირებული, მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა. თითოეული პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მასთან თანამშრომლობა ჩვენი თვითმიზანი, ისევე როგორც ზემოქმედების ეფექტური საშუალებაა. ჩვენ ხელს შევუწყობთ სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას მონაწილეობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ადგილობრივი განვითარების ადვოკატირების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების დეფინიციის გავრცობის შედეგად, ჩვენ მზად ვართ ვიმუშაოთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებთან, სოციალურ მოძრაობებთან, დამოუკიდებელ პროფკავშირებთან და სხვა სუბიექტებთან, რომლებიც:

- ცდილობენ სამიზნე თემებში საზოგადოების მობილიზაციასა და პოზიტიური ცვლილებების ინიცირებას
- ცდილობენ წამოსწიონ და გადაჭრან მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყოს ფართოდ აღქმული ან განხილული საზოგადოების მიერ
- მზად არიან დრო და ენერგია დაუთმონ თავიანთ ინიციატივებსა და კამპანიებს.

მხარდაჭერას განვახორციელებთ კონკრეტული მიმართულებებით, როგორიცაა ალტერნატიული ფონდების მოძიება, მოხალისეებისა და რესურსების მობილიზაცია, რესურსების მართვის ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მეთოდების დანერგვა, გეგმების შედგენა და მათი განხორციელება, ცოდნის ამაღლებაზე მიმართული კულტურის დანერგვა, შიდა ანგარიშვალდებულება, ფართო საზოგადოებასთან ნდობის დამყარება, ცვლილებისთვის შემოქმედებითი უნარების, ტექნოლოგიისა და მონაცემების გამოყენება, საკითხების მოკვლევა, სტრუქტურირება და გაცნობა, ძალაუფლებრივი დინამიკის შესწავლა, კავშირების დამყარება, განსაზღვრა, თუ რა პოზიციის დაკავება უნდა მოხდეს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ ბიზნესთან და სხვა მხარეებთან, რომლებსაც შეუძლიათ პროცესის ხელშეწყობა ან პირიქით, შეფერხება.

ამ ტიპის მხარდაჭერით, “ფიფლ ინ ნიდ“-ი უზრუნველყოფს შემდეგი მიზნების მიღწევას:
- სამოქალაქო საზოგადოების აქტორები წარმოადგენენ და ადვოკატირებენ თავიანთი მხარდამჭერების ინტერესებს და პასუხისმგებელ ჯგუფებს ანგარიშვალდებულებას აკისრებენ
- სხვადასხვა თემი და ინდივიდები მონაწილეობენ გადაწყვეტილებებში, რომელიც მათ ცხოვრებაზე ზეგავლებას ახდენს.

სტრატეგიულ პერიოდში დაგეგმილი აქტივობები
- სამოქალაქო საზოგადოების აქტორების უზრუნველყოფა ტექნიკური და მატერიალური რესურსებით, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად განვითარება და სამიზნე თემების უკეთ მომსახურება
- მოსახლეობასა და ანგარიშვალდებულ მხარეებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა
- ადამიანის უფლებების, დასაქმების შესაძლებლობებისა და სოციალური დახმარების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა
- მედიაწიგნიერების უნარებზე ხელმისაწვდომობის ზრდა

სოციალური დაცვა და ინკლუზია

“ფიფლ ინ ნიდ“–ი მიიჩნევს, რომ სოციალური დაცვა სათემო და პოლიტიკური ინიციატივების ერთობლიობაა, რომელიც, სოციალური დახმარების გზით, მიზნად ისახავს უკიდურესი სიღარიბის, გარიყულობისა და დისკრიმინაციის პრევენციას/ აღმოფხვრას. “ფიფლ ინ ნიდ“-ი გამოიყენებს ჩეხეთის რესპუბლიკაში სოციალური დაცვის სისტემების ტრანსფორმაციის შედეგად ორგანიზაციის მიერ მიღებულ გამოცდილებას და მოახდენს მის ქართულ რეალობასთან ადაპტირებას. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად დაბალია სერვისებისა და დაცვის მექანიზმების ხელმისაწვდომობა, ჩვენ გავაგრძელებთ ურბანული სიღარიბის საკითხის შესწავლას, განსაკუთრებით, შრომითი უფლებებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონტექსტში. სოციალური ინკლუზიის საკითხი გათვალისწინებული იქნება ორგანიზაციის თითოეულ პროგრამაში, რაც უზრუნველყოფს შემდეგი მიზნების მიღწევას:

- მარგინალიზებულ ჯგუფებს აქვთ საზოგადოებაში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობა
- ოჯახები თავს აღწევენ უკიდურეს სიღარიბეს.

სტრატეგიულ პერიოდში დაგეგმილი აქტივობები
- პარტნიორობა სერვისების მიმღებების საჭიროებებზე მიმართული ადვოკატირების და სამოქმედო ჯგუფებთან
- უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და თანაბარი ანაზღაურების ადვოკატირება
- სახელმწიფო/კერძო/სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა სოციალური სერვისების მიწოდების კუთხით
- ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევა ხელმისაწვდომი, გარემოსთვის უსაფრთხო ალტერნატივებით
- უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ფინანსურ სერვისებზე წვდომის მხარდაჭერა

ფოტო © რამაზ ქიქნაძე

5. ურთიერთმკვეთი საკითხები

ჩვენ შევიმუშავებთ სამოქმედო გეგმას, რათა შევაფასოთ მიღწევები გენედერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის კუთხით. მიზანი: 2021

გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია

გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის შესახებ "ფიფლ ინ ნიდ"-ის გლობალური პოლიტიკის შესაბამისად, ნებისმიერი ქმედება ემყარება მონაწილეობით ანალიზს, რაც უზრუნველყოფს სერვისებისა და შესაძლებლობების თანაბარ ხელმისაწვდომობას. ჩვენ ხელს ვუწყობთ საზოგადოების ყველა ჯგუფის თანაბარ მონაწილეობას, რათა განვსაზღვროთ, თუ ვის მიერ მოხდება სერვისების გამოყენება და რა არის მათი საჭიროება. ამგვარად, ჩვენ უზრუნველვყოფთ სერვისებისა და შესაძლებლობების სწორი მიმართულებით გამოყენებას. "ფიფლ ინ ნიდ"-ი მჭიდროდ თანამშრომლობს მკაფიო ხედვის მქონე ადგილობრივ აქტორებთან, რომლებსაც შესწევთ უნარი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სოციალური ინკლუზიის, დისკიმინაციისა და გენდერული თანასწორობის კუთხით.

ჩვენი პროექტები შემუშავებულია გარემოზე ზემოქმედების კრიტერიუმების (ჩეკლისტი) გათვალისწინებით: მიზანი: 80%

ეკოლოგიური მდგრადობა და კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილება XXI საუკუნის უდიდესი გამოწვევაა. ამის გათვალისწინებით, ჩვენი პროექტები ხელს შეუწყობს გავლენის შერბილებასა და ცვლილებების მიმართ ადაპტაციას. "ფიფლ ინ ნიდ"-ის ახალი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სკრინინგის ინსტრუმენტის შესაბამისად, ჩვენ რეგულარულად ჩავატარებთ ჩვენი საქმიანობის გარემოსდაცვით აუდიტს, რათა შევამციროთ ჩვენი პროგრამების ეკოლოგიური გავლენა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება.
"ფიფლ ინ ნიდ"– ის შიდა ოპერაციები ხორციელდება „მწვანე ქვეყნის" პროგრამული სახელმძღვანელოს შესაბამისად, რაც ითვალისწინებს ჩვენ მიერ ენერგიის მოხმარების შემცირებას, შესყიდვების პროცესში მდგრადი მოხმარებისა და წარმოების პრინციპების დაცვას.

ჩვენ შევიმუშავებთ, განვახორციელებთ და შევაფასებთ პროექტებს ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით. მიზანი: 90%

პარტნიორობა

პარტნიორობა საქართველოში ჩვენი საქმიანობის მყარი ფუნდამენტია. ჩვენ გავაღრმავებთ პარტნიორობას სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან და ამავდროულად, ვიმუშავებთ ბიზნეს სექტორთან, კავშირებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან. "ფიფლ ინ ნიდ"-ის პროექტების შედეგად შექმნილი სერვისები და ინფრასტრუქტურა, მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭირო დაფინანსების გეგმასთან ერთად, საკუთრებაში გადაეცემა ადგილობრივ აქტორებს.
თანამოაზრეების იდენტიფიკაციისა და შეფასების, ისევე, როგორც შემდგომი ურთიერთობის პროცესში, "ფიფლ ინ ნიდ"–ი ხელმძღვანელობს კონკრეტული ინსტრუმენეტებითა და პრინციპებით. კერძო სექტორის შემთხვევაში, ეს გულისხმობს სიღრმისეული შეფასების ჩატარებას. ვინაიდან ჩვენ გვჯერა, რომ სწორად მრავალფეროვნებაშია სიძლიერე, ჩვენ ვითანამშრომლებთ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და კოალიციებთან. კერძოდ, "ფიფლ ინ ნიდ"-ი გააგრძელებს სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და ციფრული ინდუსტრიის მიმართულებით კერძო აქტორებთან თანამშრომლობას, საბაზრო სისტემების გაძლიერებასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

ჩვენი პროექტები ეყრდნობა რისკების ანალიზს და ხელს უწყობს მდგრადობის ზრდას. მიზანი: 80%

მედეგობა

მოსალოდნელი კრიზისების ფონზე, ხშირად იკარგება განვითარების შედეგად მიღებული შედეგები. "ფიფლ ინ ნიდ"-ის პროგრამები მიზნად ისახავს ამგვარი კრიზისების მიმართ შინამეურნეობების, თემებისა და სისტემების მდგრადობის გაზრდას. პროექტების შემუშავებისას, ჩვენ ვითვალისწინებთ შესაძლო რისკებსა და მათი შერბილების ზომებს. "ფიფლ ინ ნიდ"-ი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში დაზღვევისა და რისკის გაზიარების სხვა მექანიზმების დანერგვას, საარსებო წყაროების დივერსიფიკაციას, კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას, სისტემების გაძლიერებას.

6. 5. შედეგებზე მიმართული ინვესტიცია

“ფიფლ ინ ნიდ“-ის მიზანია უზრუნველყოს მის მიერ განხორციელებული პროგრამების მაღალი ხარისხი, უწყვეტ რეჟიმში შეაფასოს შედეგები, ხელი შეუწყოს ცოდნის ამაღლებასა და განვითარებას; გაზარდოს ექსპერტული გამოცდილება და უზრუნველყოს მისი ქმედებების მდგრადობა. ჩვენ მზად ვართ საჭირო დრო და რესურსი დავუთმოთ სწავლას, ინოვაციებს, პარტნიორობასა და გუნდის განვითარებას, რათა კიდევ უფრო გავზარდოთ საქმიანობის გავლენა. “ფიფლ ინ ნიდ“- ის პერსონალი ჩვენი უდიდესი აქტივია. თანამშრომლების შემდგომი განვითარებისთვის, ჩვენ მზად ვართ თანაბარი შესაძლებლობებით შევუქმნათ ადამიანებს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის, ეთნიკური ნიშნის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა და ასაკის განურჩევლად. “ფიფლ ინ ნიდ“-ის პროცედურების მიზანია სამართლიანობის უზრუნველყოფა დასაქმების ყველა ეტაპზე, შერჩევის პროცედურების, შიდა დაწინაურებისა და ანაზღაურების ჩათვლით.

ფოტო © თედო გუბელაძე

ცოდნის ამაღლება

- ცოდნის ამაღლება რისკების ანალიზისა და მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხების კუთხით
- შესაძლებლობების ამაღლება მტკიცებულებების გენერირებისა და პოლიტიკაზე ზემოქმედების კუთხით

პარტნიორობა

- შედეგებზე მიმართული ინვესტიციების შემუშავება და პილოტირება
- ექსპერტული ცოდნის ამაღლება და მიდგომების ცვლილება

ინოვაცია

- სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ჩვენი პროგრამების ხარისხის, მასშტაბის გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით
- ევროკავშირის ბაზრის წარმომადგენლებსა და საქართველოში არსებულ მწარმოებლებს შორის კავშირის ხელშეწყობა
- განვითარების მიმართულებით პარტნიორების იდენტიფიცირება და მათთან თანამშრომლობა

გუნდი

- ჩვენი გუნდის დივერსიფიკაცია სამიზნე თემების უკეთ წარმოჩენის მიზნით
- პრიორიტეტულ სექტორებში ექსპერტული ცოდნის ამაღლება
- მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზება სხვადასხვა საჭიროების/შესაძლებლობის მქონე თანამშრომლებისთვის